სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება №03-18

ქ. თბილისი

20.01.2015

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საბაკალავრო საფეხურზე სწავლის უფლების მქონე ეკატერინე ბჟალავას ჩარიცხვის შესახებ

,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 52-ე მუხლის მე-3 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №134/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის" წესდების მე-18 მუხლის პირველი და მეექვსე პუნქტების, „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის ბრძანება №224/ნ საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 29 დეკემბრის №1490 ბრძანების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2014 წლის 30 დეკემბრის MES 8 14 01052439- წერილის (უნივერსიტეტში შემოსული 06.01.2015 №03-180/15), ეკატერინე ბჟალავას 2015 წლის 19 იანვრის №03-719/15 განცხადების, ბიზნესის სკოლის დეკანის მიხეილ ბატიაშვილის 2015 წლის 16 იანვრის №03-927/15 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. ეკატერინე ბჟალავა (საქართველოს მოქალაქე (პირადი N10001044814), ჩაირიცხოს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის სწავლების საბაკალავრო საფეხურის პროგრამაზე – ბიზნესის ადმინისტრირება (საბანკო და საფინანსო საქმე, მენეჯმენტი, ტურიზმი) და სწავლას შეუდგეს 2014-2015 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრიდან.

2. ეს ბრძანება ბათილია მისი გამოცემის მომენტიდან, თუ არ დასტურდება „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ერთიანი ეროვნული

გამოცდების/საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლების მქონე აბიტურიენტების/მაგისტრანტობის კანდიდატების/სტუდენტების მიერ დოკუმენტების წარდგენისა და განხილვის წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 29 დეკემბრის №224/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესით გათვალისწინებული მოთხოვნების დაკმაყოფილება.

3. დაევალოს ბიზნესის სკოლას ეკატერინე ბჟალავას პირადი საქმის მოწესრიგება.

4. დაევალოს ბიზნესის სკოლას უცხოეთში მიღებული განათლების შემთხვევაში ეკატერინე ბჟალავასთვის უზრუნველყოს კრედიტების აღიარება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაევალოს ამ ბრძანებაში მითითებული ინფორმაცია განათავსოს უნივერსიტეტის ვებგვერდზე.

6. დაევალოს ბიზნესის სკოლას ამ ბრძანებით მიღებული გადაწყვეტილება ასახოს სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემა „არგუსში", განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ერთიანი სტუდენტური რეესტრის მონაცემთა ბაზასა და შიდასაუნივერსიტეტო რეესტრში.

7. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ეს ბრძანება გააცნოს ბიზნესის სკოლას, საფინანსო და აღრიცხვა-ანგარიშის დეპარტამენტებს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, არგუსის კოორდინატორს ცენტრალურ დონეზე ირინა ბაზღაძეს და სტუდენტ ეკატერინე ბჟალავას.

რექტორი **გიგა ზედანია**